ზოოპარკი

ბევრი ბევრი გალია,

უამრავი ცხოველი,

არამარტო ცხოველი

ფრინველებიც არიან.

სპილო, დათვი, ბეჰემოტი,

ნიანგი და ზებრა,

ლომები და მაიმუნები

ცხოვრობს ყველა ერთად.

ერთად არის თავმოყრილი

ყველა ერთ დიდ სახლში,

რომელსაც ჩვებ ხშირად ვსტუმრობთ

ლამაზ ზ ო ო პ ა რ კ შ ი!

ინგა ქორდელი

ზოოპარკი

არ შორდება არწივს სევდა,

დათვი ტყის დარდს გულში იხვევს,

ენატრებათ მაჩვებს მზე და

ესიზმრებათ მთები ჯიხვებს.

მგელს უკვნესის ბოღმით გული,

ლომს ლომური ახსოვს ტახტი,

გალიაში სიხარულით

მარტო მაიმუნი დახტის.

მორის ფოცხიშვილი

ზოოპარკი

ჩიტს რა უნდა გალიაში?

-ეჰ, ლურჯი ცა ვინ აღირსა!

-ეს თევზები რას დარდობენ?

-წყალს ნატრობენ მდინარისას!

-რატომ ბრაზობს თეთრი დათვი?

-ვოლიერში ვერა დგება!

-ლომი რად თვლემს დღე და ღამე?

-აფრიკის ტყე ელანდება.

გივი ჭიჭინაძე

ზოოპარკში

ეს მელიას ბინაა,

მაღალი და ნათელი,

იქვე, სხვა გალიაში,

კრიახობენ ქათმები.

დაწრიალებს მელია

დაკრეჭილი კბილებით,

იხვეწება:

გეთაყვათ,

შეგვიერთეთ ბინები.

ოთარ შალამბერიძე

დათუნია

გამარჯობა, დათუნია,

რა კარგი ხარ, ლამაზი,

ვერ მიცანი? შემომხედე,

მე ვარ, შენი თამაზი.

ყურადღებას არც კი მაქცევ,

მოდიხარ და მიდიხარ...

მეც მყავს სახლში დათუნია,

მაგრამ შენ ხომ დიდი ხარ!

არ გრცხვენია, დამიკარგე

შენი ნახვის ხალისი.

რამოდენა გაზრდილხარ და

გამარჯობა არ იცი.

ნოდარ დუმბაძე

აქლემის გასაჭირი

მთელი წლის სარჩო კუზებში

დაიმარაგა აქლემმა,

ისე დამძიმდა კუზები,

სხეულს ვეღარ მიათრევდა.

იფიქრა მოდი დავწვები,

ნეტა მომშივდეს მალეო,

დამსუბუქდება კუზები,

გზას გავაგრძელებ ხვალეო.

ასეთი მძიმე სხეულით,

ვეღარ გავივლი წყალშიო,

აი რა მიყო სიხარბემ,

დამაგვიანდა სახლშიო.

მაია წიგნაძე

პანდა

ისევ სძინავს ხის ტოტზე,

ძილისგუდა პანდას;

ნეტავ, ვინ დაახურავს,

პანდას თბილად საბანს?

ქარი რომ ამოვარდეს,

გაუტეხავს ძილს;

სულაც ხომ შეიძლება,

ჩამოვარდეს ძირს?

ამიტომაც ჰამაკი

უნდა ჩამოვუკიდოთ;

უფრო კარგი იქნება,

რომ საწოლი ვუყიდოთ.

ხეზე ხომ არ დარჩება?

შეაწუხებს წვიმა,

პანდას ბინა ხომ უნდა,

ავუშენოთ ბინა.

ელიზბარ გაბუნია

დათვის ბელი

ზოოპარკში გავიცანი

საყვარელი დათვის ბელი,

ნამცხვარი რომ გამომართვა,

ჭუჭყიანი ჰქონდა ხელი.

ამის გამო რომ დავტუქსე,

არ ჩაიდო გულში წყენა,

გადმომიყო ბელმა ენა,

თითქოს მითხრა – აი შენა!

კობა ჭუმბურიძე

წუწკი დათუჩა

– დათუნია დათუჩავ

საით გაგიწევია,

ან ამდენი ფუტკარი

თავზე რად გახვევია?

– ტკბილეულის წუწკი ვარ,

რაღა დასამალია,

ჰოდა თაფლს რომ ვიპარავ,

განა ჩემი ბრალია?

ახლა უნდა გავქუსლო,

მართლა არა მცალია,

რადგან ფუტკრის ნაკბენი

მწარე არის ძალიან.

– შე საბრალოვ, ვიდრე ხარ

ამნაირი მსუნაგი,

ვერც სირბილი გიშველის

და ვერც შენი ბუნაგი.

კობა ჭუმბურიძე

მსუნაგი

ჩვენი სოფლის მაღაზია

დარჩენია პატრონს ღია,

შეპარულა ქურდბაცაცა,

ტკბილეული წაუღია.

იქაც ბლომად უჭამია,

ხუთი კილო მარმელადი,

ათი ცალი ნამცხვარი და

ოცი ფილა შოკოლადი.

ოცდახუთი ჩურჩხელა,

ოცდაათი კანფეტი,

გაამწარა პატრონი,

აწყევლინა თავბედი.

– აქ რაც ჭამა საძაგელმა,

თურმე განა იმყოფინა,

რომ წავიდა, წააყოლა

ვებერთელა თაფლის ქილა.

ხოლო ტყეში, დიდ ბუნაგში

დიდი დათვი ვიშვიშებდა,

აფთიაქში ფუთფუთებდა,

მუცლის წამალს დაეძებდა

– რატომ გტკივა მუცელიო,

შენ კი გენაცვალოს დედა.

დათუჩა კი თათს ისვამდა

მუცელზე და კრუსუნებდა,

ბორგავდა და თან ფიქრობდა

– ნეტავ როდის მოვა დილა,

არ მომპარონ ფუღუროში

დამალული თაფლის ქილა.

კობა ჭუმბურიძე

***

რაღა მე დამჩაგრაო –

ბედს უჩივის ზღარბუნა,

– ყველა ბეწვით შემოსა,

მე კი ქაცვი მარგუნა.

თუმცა ჩემი ბებიკო

მაინც მომეფერება,

მისი სიხარული ვარ,

მისი ბედნიერება.

კობა ჭუმბურიძე

***

დედა მაჩვი კუდით ჰგვის

და პატარა მაჩვებს

სოროს მოვლას ასწავლის,

სისუფთავეს აჩვევს.

ორჯერ დიდი კუდი აქვს

მის მეზობელ მელიას,

მაგრამ სოროს არ უვლის,

მუდამ დასაგველი აქვს.

კობა ჭუმბურიძე

***

უღრან ტყეში ბინადრობდა

ორი კარგი მეზობელი,

ერთი იყო ჭრელი ჭოტი,

მეორე კი დათვის ბელი.

ჭოტი დღისით იძინებდა,

ხოლო ბელი იყო ფრთხილი,

რომ ხმაურით არ დაეფრთხო

მეზობლისთვის ტკბილი ძილი.

ბელი ღამით იძინებდა,

თამაშით რომ იღლებოდა,

ამიტომაც, ჭრელი ჭოტი

მოშორებით ნადირობდა.

სხვადასხვა დროს ეღვიძათ და

ერთად ვერც კი თამაშობდნენ,

თუმც ერთმანეთს პატივს სცემდნენ

და კეთილად მეზობლობდნენ.

კობა ჭუმბურიძე

ბეღურა

ის აქ იყო, როდესაც

ქალაქს თოვლი ებურა,

ყველა ჩიტი გაფრინდა,

დარჩა მხოლოდ ბეღურა.

აქ, ჩვენს გვერდით დარჩენა,

თითქოს მათი ვალია,

არ აშინებთ ზამთარი,

თოვლის დიდი გალია.

ტოტზე აბუზულები

სხედან, ყინვის ურჩები,

რომ არასდროს ვიხილოთ

უჩიტებო ქუჩები.

და თუ მათ ერთგულებას

ვიწონებთ და ვაფასებთ,

ყოველ დილით საკენკი

დავუყაროთ რაფაზე.

კობა ჭუმბურიძე

ბიბლიოთეკარი მელია

იყო არა, იყო რა,

სულ ზღაპრების ბრალია:

მელას რომ აბრალებენ

წუწკიაო ძალიან,

რომ საქათმის ძირსა თხრის,

რომ მუსრს ავლებს წიწილებს.

რომ თუ ქათამს არ შეჭამს,

ისე ვერ დაიძინებს.

ჰოდა, ერთმა წიწილამ

ერთ დღეს ტყისკენ გასწია.

თქვა ვნახავო, გავიცნობ,

მელია რა კაცია?!

ცხრა მთა გადაიარა,

მელას სოროს მიადგა:

მელამ კარი გაუღო,

მერე სკამიც მიართვა.

ხედავს, წიგნით სავსეა

თაროები, მაგიდა.

სიმშვიდეა სოროში,

მელა უზის საკითხავს.

აქ კალმები აწყვია,

იქ ფურცლები, დავთრები.

ყველა წიგნებს კითხულობს:

ციყვი, მგელი, დათვები.

ჩაით გაუმასპინძლდა,

გადმოუწყო წიგნები,

ბევრი ათვალიერეს,

ტომები და ციკლები.

ეს თხელი ყდა, ეს სქელი

ეს ტიტული, ფორზაცი,

ეს ყუა, ეს სანიშნი,

ეს დიდის, ეს მოზარდის.

რის ჩიჩია, რა შიში,

რის წრუწუნას ღვეზელი?

წელში კი გაწყდებოდა

ამ წიგნების შეძენით,

გაუხსნია მელიას

სახლში ბიბლიოთეკა!

არც წუწკობს, არც მსუნაგობს,

როგორც ადრე, ოდესღაც.

ბევრი წიგნი უკითხავს

და კეთილიც გამხდარა,

წიგნის კითხვას აჩვევსო

ტყეში ყველა ამხანაგს.

ჰოდა, ჩვენი წიწილაც

წიგნიერი იქნება!

იყო, არა იყო რა,

ასე იცის წიგნებმა!

მარიამ წიკლაური

ვეშაპი

შადრევნები დააქვთ ზურგით

ზღვის გოლიათ ბინადრებს.

იმათ სმენას, საუცხოოს,

მუსიკოსიც ინატრებს.

რძით კვებავენ თავის შვილებს,

მსუქნებსა და ჭკვიანებს.

ზღვის პროდუქტსაც მიირთმევენ

კბილს რა დაუჭიანებთ?

დიდი სანათესაოც ჰყავთ

და ბიძაშვილ დელფინებს,

შაბათ-კვირას, გასართობად,

პატიჟებენ `სერფინგზე.

მარიამ წიკლაური